პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1984 წ.
№ 288 (7799) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

## მომავალ შეხვედრამდე

**შეჯიბრების** ბოლო ტურში უკვე რუმინეთის გუნდი იყო „თამაშგარე" მდგომარეობაში — წინადღეს ჩაათავა ტურნირი და საპატიო მეორე ადგილი დაიკავა. ერთადერთი, რაც ახლა რუმინელებს აღელვებდათ, გახლდათ ის, მოიპოვებდა თუ არა მათი მირსეი გრაბოვსკი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის სახელს. რუმინელის შედეგის (41 ბურთი) გაუმჯობესება პრაქტიკულად მხოლოდ თბილისელ ანპილოგოვს (27 გოლი) შეეძლო, მაგრამ, დაგვეთანხმებით, 15 ბურთის გატანა ერთ მატჩში გაუჭირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხელბურთელები ტურნირის უკანასკნელ დღეს საგრძნობლად დასუსტებულ მეტოქეს უნდა შებრძოლებოდნენ — ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ერთბაშად 4 მოთამაშე და უფროსი მწვრთნელი სპარტაკ მირონოვიჩი გამოაკლდა. ისინი ვადაზე ადრე გაემგზავრნენ მინსკში, რათა საგანგებო გეგმით მოემზადონ საკავშირო ჩემპიონატის ზაპოროჟიეს ტურისთვის.



ახალგაზრდული ნაკრები თავიდანვე 3 ბურთით დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში (4:4) და ეს თანაფარდობა ტაიმის ბოლომდე არ დარღვეულა — 13:13. მეორე ნახევარში ტაბიძემ ზედიზედ სამჯერ მიაღწია წარმატებას, კარგად თამაშობდა ანპილოგოვიც, თუმცა ამ დღეს 7 ბურთზე მეტი ვერ გაიტანა (სულ მან მეტოქეთა კარი 34-ჯერ აიღო). ახალგაზრდული ნაკრებიდან განსაკუთრებით აქტიური იყო ანტონევიჩი. მცირე ტრავმის მიუხედავად, მის ანგარიშზეც 7 გოლი აღმოჩნდა. მეორე ტაიმში წინ სულ საქართველოს გუნდი იყო, რომელმაც გაიმარჯვა — 29:27.

საინტერესო იყო ამ პრიზის ბოლო ორი გათამაშების პირველ და მეორე პრიზიორთა — სსრ კავშირისა და პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩი. გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზის 14-გზის მფლობელმა — ჩვენი ქვეყნის მთავარმა გუნდმა ტურნირის მეოთხე მატჩიც დამაჯერებლად ჩაატარა და გაიმარჯვა. პირველი ნახევარი მან მოიგო ორი ბურთის სხვაობით — 13:11, ხოლო მატჩი — 29:22.

სსრ კავშირის პირველ ნაკრებს (მწვრთნელები — ანატოლი ევტუშენკო და იური კლიმოვი) საზეიმო ვითარებაში გადაეცა თბილისის ტრადიციული ტურნირის საპატიო პრიზი. ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაციის ჯილდოები მიიღეს მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა გუნდებმა და ხუთივე ნაკრების საუკეთესო მოთამაშეებმა.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: შეტევაზეა თბილისელი ა. ნავროზაშვილი; რუმინეთისა და პოლონეთის ნაკრებთა მატჩი.**

*ჯემალ კახრაძის ფოტოები.*

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი-I | 4 | 0 | 0 | 112-66 | 8 |
| 2. რუმინეთი | 3 | 0 | 1 | 99-91 | 6 |
| 3. პოლონეთი | 1 | 1 | 2 | 88-98 | 3 |
| 4. საქართველო | 1 | 0 | 3 | 90-107 | 2 |
| 5. სსრ კავშირი-II | 0 | 1 | 3 | 86-113 | 1 |



## ისევ ხელბურთის სამსახურში

**სანამ** თამაშები დაიწყებოდა, სპორტის სასახლეში ხელბურთის კართან ორი ჭაღარამორეული მამაკაცი იდგა. ერთ-ერთი მათგანი — თბილისის „ბურევესტნიკისა" და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე ჯემალ აბაიშვილი მაშინვე ვიცანით. მეორე კორნელიუ პენუ იყო — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, რუმინეთის ნაკრების სახელგანთქმული მეკარე, წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, რომელსაც „ბომბარდირთა რისხვას" ეძახდნენ.

პენუს არა ერთხელ უთამაშია „ზარია ვოსტოკას" პრიზზე, დღეს კი ჩვენს დედაქალაქს ეწვია როგორც გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი — იგი რუმინეთის ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

— აბაიშვილს პირველად 1965 წელს შევხვდი პოლონეთში, — გვეუბნება კორნელიუ პენუ. — უკვე ცნობილი მეკარე იყო, მე კი მხოლოდ სახელგანთქმული მიხაი რედლის დუბლიორი ვიყავი. ახლაც კარგად მახსოვს ჯემალის ბრწყინვალე თამაშები, ასევე დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას დიდებული საბჭოთა ხელბურთელები ცერცვაძე, ლებედევი, კლიმოვი, მაქსიმოვი... ყოველ მათგანს ჩემთვის საკმაოდ ბევრი უსიამოვნება მოუტანია — მათ მიერ ნატყორცნი ბურთები ხომ მეტწილად მიზანს აღწევდა...

პენუს ორი ვაჟი ჰყავს, უფროსი 13 წლის გაბრიელი მამის კვალს გაჰყვა—მეკარეა და დიდ ხელბურთზე ოცნებობს, უმცროსი კი მხოლოდ სამი წლისაა და, ცხადია, სპორტისა ჯერჯერობით არა გაეგება რა. კორნელიუ პენუ მეკარეთა რუმინული სკოლის ფუძემდებლად ითვლება, რომელიც ყველა დანარჩენისგან გამოირჩევა. სახელგანთქმული მეკარის გზას გაჰყვნენ თანამემამულეები დინკა, ორბანი, მუნტიანუ.... ეს უკანასკნელი, დღეს ქვეყნის ნაკრების ძირითადი მეკარე, თბილისის ტურნირშიც წარმატებით გამოვიდა.

— ჩემი მეგობარი და ძველი მეტოქე ერთ-ერთი ტექნიკური და კორექტული მოთამაშე იყო, —გვეუბნება ჯემალ აბაიშვილი, — ძნელად თუ დაჰკარგავდა წონასწორობას, მოედნის ხედვის უნარითაც გამოირჩეოდა, მუდამ დროულად იწყებდა კარიდან შეტევას.

...ხელბურთის კართან მდგარი სახელგანთქმული დარაჯები გადატანილი სპორტული ბრძოლების პერიპეტიებს იხსენებდნენ.

**თამაზ ყალიბეგაშვილი.**

* * *

**სურათზე: პენუ და აბაიშვილი.**

*ჯემალ კახრაძის ფოტო.*

## მინსკის „დინამო" — მეოთხედფინალში

**გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა უეფა-ს თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩი მინსკის „დინამოსა" და პოლონეთის ქალაქ ლოძის „ვიძევის" ფეხბურთელთა შორის (ამ გუნდების პირველი მატჩი ლოძში, როგორც ცნობილია, მინსკელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0).

მატჩი მეტად დაძაბული ბრძოლით, სახიფათო მომენტებით აღინიშნა. თამაშის მე-10 წუთზე „ვიძევის" თავდამსხმელმა ძეკანოვსკიმ 11-მეტრიანი გაიტანა და ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

ამრიგად, ორი მატჩის ჯამში (2:0, 0:1) მისკის დინამოელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

მოსკოვის „სპარტაკისა" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კიოლნის" შეხვედრა გუშინ გვიან ღამით გაიმართა ქ. კიოლნში.



**ს უ რ ა თ ზ ე: გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.**

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.*

## ვიხილავთ უძლიერესებს

**რესპუბლიკის** უძლიერესი ტანმოვარჯიშეების ვლადიმერ გოგოლაძის, ამირან ბერიანიძის, ეკა ზეთურიძისა და სხვათა ოსტატობას იხილავს მაყურებელი სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს თასის გათამაშებისა და მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში გამართულ რესპუბლიკის ჩემპიონატში. შეჯიბრებაში, რომელიც დღეს, 13 დეკემბერს, განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში (პეტრიაშვილის ქ. № 7) დაიწყება, მონაწილეობას მიიღებს თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის სულ 70-მდე წარმომადგენელი. სამ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზებენ: ოსტატობის პროგრამით — 1967 წლამდე დაბადებული ვაჟები და 1970 წლამდე დაბადებული გოგონები, ოსტატობის კანდიდატის პროგრამით — 1967-70 წწ. დაბადებული ვაჟები და 1970-73 წწ. დაბადებული გოგონები, ჭაბუკთა თანრიგის პროგრამით 1970 და შემდგომ წლებში დაბადებული ბიჭები და 1973 და შემდგომ წლებში დაბადებული გოგონები.

შეჯიბრება 16 დეკემბერს დამთავრდება.

რეპლიკა

# აუზის კარი ყველასთვის ღია უნდა იყოს

**სპორტული** ბაზების სრული დატვირთვით გამოყენების საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. საცურაო აუზები, ჩოგბურთის კორტები, სტადიონები, დარბაზები მთლიანად უნდა ჩავაყენოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის სამსახურში. სპორტული სექციების გარდა ამ ბაზებზე უნდა მეცადინეობდნენ ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფები. ბევრგან ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრა. ავიღოთ, მაგალითად, „დინამოს“ სპორტკომბინატი. აქ სხვადასხვა სახეობაში უამრავი სააბონემენტო გამაჯანსაღებელი ჯგუფია გახსნილი. საგრძნობლად გაიზარდა სპორტკომბინატის საკასო შემოსავალი, რაც თვით ჯგუფების სამეცადინო პირობების გაუმჯობესების გარდა, კომბინატის სპორტული ბაზების კეთილმოწყობასაც ხმარდება. მაგრამ ყველგან ასე როდია.

დღეს საუბარი გვექნება დიღმის მასივის საცურაო აუზზე, რომელიც პროექტით ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს დედაქალაქში. ეს ბაზა მასივის ცენტრში მდებარეობს და ამიტომ მისასვლელადაც მოსახერხებელია. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მასივში ათი ათასობით მცხოვრებია, რომ იგი თავად არის კომპაქტური „ქალაქი ქალაქში“, ცხადი გახდება, რამდენ სიკეთეს ვაკლებთ ხალხს, ვისთვისაც ეს აუზი მართლაც მიუწვდომელი ციხესიმაგრე გამხდარა.

არა, ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ აუზმა თავისი ძირითადი ფუნქცია არ უნდა შეასრულოს. იგი სასკოლათაშორისო საცურაო ბაზაა და, პირველ ყოვლისა, მოზარდებს უნდა მოემსახუროს. აქ ბავშვებს უნდა შეასწავლონ ცურვა, ჩააბარებინონ მშდ კომპლექსის ნორმატივები, ჩაატარონ შეჯიბრებები და ა. შ. მაგრამ **საკითხავია, ყოველივე ამის შემდეგ აუზი უქმად რატომ უნდა ცდებოდეს? ყოველი საათი, როცა აუზზე ბავშვები არ არიან, ანდა ბაზა სრულად არ არის დატვირთული, მოსახლეობის კეთილდღეობისთვის უნდა გამოვიყენოთ.** მივმართოთ კონკრეტულ ფაქტებს: დღესდღეობით დიღმის მასივის სასკოლათაშორისო საცურაო აუზზე დილის 7-დან ღამის 12 საათამდე (ეს ის დროა, როცა აუზი უნდა მუშაობდეს) დაუტვირთავია 9 საათი. აუზი ერთი საათის განმავლობაში ერთდროულად 80 მომეცადინეს ემსახურება. გამოდის, რომ ყოველდღიურად 720 სხვადასხვა ასაკის ცურვის მოყვარულს ვუკეტავთ აუზის კარს. რატომ? ამ კითხვის პასუხად გვითხრეს, აუზი საბიუჯეტო ორგანიზაციაა და უფლება არა აქვს შემოსავალი მიიღოს. კეთილი და პატიოსანი, საწინააღმდეგო აბა ვის რა უნდა ჰქონდეს: **როცა ამა თუ იმ სპორტულ ობიექტს სამეურნეო სტატუსი არა აქვს, ე. ი. საკუთარი შემოსავლით არ ცხოვრობს, მას სახელმწიფო აფინანსებს. მაგრამ რატომ უნდა ვთქვათ უარი, თუკი გვაქვს შესაძლებლობა ასეთი შემოსავალი მივიღოთ?** დღეს, როცა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ადამიანს რაც შეიძლება მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეს, რომ ჩვენმა მშრომელებმა, ახალგაზრდებმა ჯანმრთელობა გაიკაჟონ, მართლაც აბსურდი იქნება უარი ვთქვათ ცურვაში გამაჯანსაღებელი სააბონემენტო ჯგუფების გახსნაზე. ცურვის შესწავლისა და აუზში ვარჯიშის მსურველი კი დიღმის მასივში, ისევე როგორც ყველგან, ძალიან ბევრია, რასაც რედაქციაში შემოსული წერილებიც მოწმობს. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ **არის ნახევრად სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სპორტული ბაზებიც, სადაც სახელმწიფო სახსრების გარდა გასავლის ხარჯები ნაწილობრივ მოსახლეობიდან შემოსული თანხებითაც იფარება.** კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სხვა გამოსავალიც მოიძებნოს. ხსენებულ საცურაო აუზზე ბინა გამოუყვეს ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბ „დილას“, რომლის წევრებისთვისაც, სხვათა შორის, ცურვა „აკრძალული ხილია“. **იქნებ ჯობდეს, რომ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მეშვეობით, რომელსაც „დილა“ ეკუთვნის, გავრცელდეს ცურვის ფასიანი აბონემენტები?** შემოსულ სახსრებს საბინაო-საექსპლოატაციო კანტორა მწვრთნელთა შრომის ანაზღაურების გარდა, თვით ამ საცურაო აუზის კეთილმოწყობასაც მოახმარდა. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვით იმასაც, რომ აუზი დიდი ხნის გახსნილი არ არის, მაგრამ უამრავი რამ უკვე ხელახლა გასაკეთებელი ან მოსაწესრიგებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის სანტექნიკურ სამუშაოებზე. გაუმართავია აგრეთვე წყლის ცირკულაციის, გაფილტვრისა და წყალში თხევადი ქლორის მექანიკურად შერევის სისტემა. ამ დეფექტების გამოსწორებაში საბინაო-საექსპლოატაციო კანტორა დაეხმარებოდა აუზის დირექციას და საჭირო აღარ იქნებოდა ლოდინი, როდის მოვიდოდა დაგეგმილი კაპიტალური შეკეთების დრო.

არა გვგონია ამდენი ვარიანტიდან რომელიმე მისაღები არ იყოს. ან იქნებ თვით საფინანსო ორგანოებმა გამონახონ უკეთესი გზა, რაც არც საფინანსო დისციპლინის დარღვევა იქნება და საქმესაც სასიკეთოდ წაადგება. ერთი რამ ცხადია: აუზის კარი ყველასთვის ღია უნდა იყოს.

**თენგიზ თომაშვილი.**

რესპუბლიკის ჩემპიონი

## იოსებ ბახტაძე

თავისუფალი ჭიდაობა



დაიბადა 1963 წელს თბილისში.
წონა 62 კგ. სიმაღლე 170 სმ.
სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ წევრი.
მწვრთნელები — თენგიზ ლაბაძიძე და ალექსანდრე ხუციშვილი.
მუშაობს ფიზიკური კულტურის მასწავლებლად.
სპორტში ვარჯიში დაიწყო 1978 წელს. ოთხი წელიწადია მონაწილეობს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, ორჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

# პირველად—პირველ ადგილზე

**კიშინიოვში** გაიმართა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ „კლასიკოსთა“ პირადგუნდური პირველობა. წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა, რომლებმაც პირად ტურნირში ექვსი მედალი მოიპოვეს, გუნდურ ჩათვლაში კი პირველი ადგილი დაიკავეს. ამგვარ შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებს ასეთი წარმატებისთვის აქამდე არ მიუღწევიათ.

ოქროს მედლები დაიმსახურეს ზურაბ კურდღელაშვილმა (65 კგ, მასვე გადაეცა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის დაწესებული პრიზი), იაგო ხუნაშვილმა (81 კგ) და პაატა ბუხრიკიძემ (97 კგ), მეორე ადგილებზე გავიდნენ ელგუჯა ჯანჯღავა (48 კგ) და დავით ქუჩაშვილი (75 კგ), მესამეზე — ზაზა ჩიკვილაძე (87 კგ). ყველა პრიზიორი „შრომითი რეზერვების“ თბილისის საბჭოს წარმომადგენელია.

გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი ბარბაქაძემ, თამაზ კიკნაძემ და ელდარ ფარჯანიძემ.

რესპუბლიკის ჩემპიონი

## ხანარ ნაბიევი

ძალოსნობა

დაიბადა 1963 წელს, დმანისში.
წონა 75 კგ. სიმაღლე 163 სმ.
დაამთავრა



დნეპროპეტროვსკის ფიზკულტურის ინსტიტუტი.
მუშაობს დმანისის პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებლად.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978 წელს.
1981 წელს შეასრულა სპორტის ოსტატობის ნორმატივი.
მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვახტანგ ლობჟანიძე.
„კოლმეურნის“ წევრი.
„შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობებში ოთხგზის გამარჯვებული.
საუკეთესო შედეგი — 340 კგ (150+190).

ჟამი ფიქრისა ჟამი ზანსჯისა

„ამჟამად რამდენიმე ასპარეზობისთვის ვემზადებით. ეს გახლავთ შეჯიბრება „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე და სხვა ტურნირები. მაგრამ ყველაზე დიდი ასპარეზობა, რომელშიც გაისად მივიღებთ მონაწილეობას, ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშები იქნება. სწორედ ამ შეჯიბრებაში მიეცემათ ჩვენს შეგირდებს რეალური საშუალება დაგვიმტკიცონ, რომ შეცდომები მართლაც ბევრს გვასწავლიან“ — ამბობს საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ალექსანდრე ბართაია.

უშუალოდ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ნაკრები გუნდის გამოსვლის შესახებ უფროსი მწვრთნელი აი რას გვიამბობს:

# რას გვასწავლიან შეცდომები



— **ჩვენი** რესპუბლიკის წყალში მხტომლები მუდამ კარგად გამოდიან მოსწავლეთა საკავშირო ფორუმზე. სექტემბერში ტაშკენტში გამართული სპარტაკიადაც არ ყოფილა გამონაკლისი. საქართველოს ნაკრების წევრებმა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს და საერთო ჩათვლაში V ადგილი დაიკავეს.

ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ჯერ კიდევ მოსწავლეთა წინა სპარტაკიადაზე განისაზღვრა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, მას შემდეგ სხვა ნიჭიერი მოზარდებიც შევარჩიეთ. მაგრამ ტაშკენტში იმედს ვამყარებდით უმთავრესად გამოცდილ მხტომელებზე, რომელთაც უკვე ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ეს სპორტსმენები იყვნენ გია ჩოგოვაძე, დიანა მჭედლიძე, რუსლან კორნეევი და ნანა ქარდავა. თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ თბილისის დახურული საცურაო აუზის ადმინისტრაცია (დირექტორი ირაკლი მეტრეველი) ყოველმხრივ ცდილობდა ჩვენთვის ხელი შეეწყო, განსაკუთრებით — მზადების ბოლო ეტაპზე. ბაზის ერთ-ერთ უბანზე სარემონტო სამუშაოებიც კი შეაჩერეს, რათა სპორტსმენებს უშუალოდ შეჯიბრების წინ მშობლიურ კედლებში ვარჯიშის საშუალება ჰქონოდათ. ეს დიდი დახმარება იყო, რადგან ტაშკენტის აუზი, სადაც სასპარტაკიადო შეჯიბრება ტარდებოდა, არაფრით არ განსხვავდება ჩვენი ზემოხსენებული საცურაო ბაზისაგან. ბოლო საწვრთნელი მეცადინეობები შეჯიბრების მოდელირებას და ხტომის საკონტროლო სერიებს დავუთმეთ... ერთი სიტყვით, შეჯიბრებისთვის დიდი მონდომებით, საგულდაგულოდ ვემზადებოდით. ჩვენი სახეობა ისეთია, პირველ ყოვლისა უნდა ერიდო არა ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ გადატვირთვას. ამიტომ ყოველმხრივ ვცდილობდით ფსიქოლოგიური დაძაბულობის გაქარწყლებას. სპორტსმენები განტვირთვის მიზნით თამაშობდნენ ფეხბურთს, ფრენბურთს, ვაწყობდით ლაშქრობებს ქალაქგარეთ.

სპარტაკიადაზე გამგზავრების წინ ორიენტირად გუნდური მეხუთე ადგილი დავისახეთ და ტაშკენტში ჩვენი გუნდი სწორედ მეხუთე იყო. უფრო მაღალ შედეგებს ჩვენ ალბათ ვერც მივაღწევდით. წინათ ამბობდნენ ხოლმე, მთავარია წყალი იყოს, თორემ მხტომელი გამოჩნდებაო. ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ამ სახეობაში დაოსტატებისთვის, ძლიერი მხტომელის მომზადებისთვის, მარტო აუზი და წყალი არ კმარა: არანაკლებ საჭიროა, მაგალითად, კარგად აღჭურვილი, სპეციალურად მოწყობილი ტანვარჯიშული დარბაზიც. თანაც მაღალი რანგის სპორტსმენისათვის დღეში ერთი ვარჯიში ცოტაა. თუ წარმატებაზე სერიოზულად ფიქრობ, დღეში ორჯერ უნდა ივარჯიშო. მერე, ყველგან გვაქვს ამისი შესაძლებლობა? არა, არა გვაქვს. და სწორედ ამით აიხსნება, რომ ნაკრების კანდიდატთა რაოდენობა შეზღუდულია, რომ ფაქტიურად ეს კანდიდატები მხოლოდ თბილისელები არიან. წინათ ჩვენ გვინახავს სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის წარმომადგენელთა კარგი გამოსვლები, მაგრამ სპორტი წინ მიდის, მოთხოვნები იზრდება, ჩვენი სპორტული ბაზები კი ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. მე მინდა გავიხსენო რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გამოცდილება, რომელთა გუნდებიც ჩვენი მთავარი მეტოქეები არიან — იქ ამ სახეობას უამრავი მიმდევარი ჰყავს და ყველას (ან თითქმის ყველას) ეძლევა ვარჯიშის საშუალება. ჩვენს რესპუბლიკაში კი წყალში მხტომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულით განისაზღვრება და მათაც კი ვერ ვუქმნით საჭირო პირობებს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება კი ლაპარაკი მაღალ შედეგებზე? თუმცა წლევანდელი და წინა სპარტაკიადების მაჩვენებლების შედარება მაინც ჩვენს აშკარა წინსვლას მოწმობს. მაგალითად, XVI სპარტაკიადაზე ჩვენმა მხტომელებმა მოიპოვეს 3 მედალი და 84 ქულა, ახლა — 6 მედალი და 369 ქულა. გია ჩოგოვაძე სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მესამე იყო, კოშკიდან ხტომაში კი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. დიანა მჭედლიძეს ორი ვერცხლის მედალი ხვდა ამავე იარაღებზე. გია შელუგოვი სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში II ადგილზე გავიდა (გამოგიტყდებით, გიას ესოდენ დიდი წარმატება ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო). დასანანია, რა თქმა უნდა, რომ თავისი ნამდვილი ძალა ვერ გვიჩვენა ნიჭიერმა სპორტსმენმა ნანა ქარდავამ. ბედი ყოველთვის არც გია ჩოგოვაძეს სწყალობდა. მაგალითად, კოშკიდან ხტომაში იგი ცხრა ნახტომის შემდეგ ლიდერი იყო, მაგრამ მეათე ცდა არ გამოუვიდა და გამარჯვებაც ხელიდან გაუშვა.

**საუბარი ჩაიწერა**
**კაკი ბოგორიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარგა ხანია სპორტი, განსაკუთრებით კი ფეხბურთი, ჩვენი ცხოვრების თანამგზავრად იქცა. მის მნიშვნელობაზე და დანიშნულებაზე ლაპარაკი ალბათ ზედმეტია, რადგან ჩვენი ურთიერთობა ფეხბურთთან, დროდადრო ძალზე მჭიდრო კი, უკვე ფაქტად ქცეული რეალობაა. დღეს გულშემატკივარს აღარ აკმაყოფილებს თავისი მდგომარეობა, მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ „გარედან ცქერას" გულისხმობს. ფეხბურთის მოყვარულს მეტი სურს იცოდეს. ეს სურვილი უშუალოდ თამაშის გარდა სპორტსმენის ბიოგრაფიის, მისი მსოფლმხედველობის, ერთი სიტყვით, მისი პიროვნების უფრო სრულფასოვნად შეცნობაშიც მჟღავნდება, მით უმეტეს, როცა იგი ახალგაზრდაა. მაგრამ ამ საქმეში შუამავალია საჭირო, კაცი, რომელიც სპორტის მოყვარულსა და სპორტსმენს შორის ურთიერთგაგების, ნდობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ძაფს გააბამს. მწერალზე უკეთ ამას ვერავინ შეძლებს.

**დიალოგი**

**მწერალი—სპორტსმენი**



მკითხველს ვთავაზობთ გურამ ფანჯიკიძისა და მიხეილ მესხი-უმცროსის დიალოგს.

# მიხეილ მესხი:
# „რწმენა მაშინ გიჩნდება, როცა გაგრძნობინებენ, რომ შენი სჯერათ"...

გ. ფ. — მიშა, ალბათ იცი, რომ მე და მამაშენი მეგობრები ვართ.

მ. მ. — ვიცი.

გ. ფ. — ვფიქრობ, ეს არ შეუშლის ხელს ჩვენს მეგობრობას.

მ. მ. — პირიქით.

გ. ფ. — მაშ, მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ.

მ. მ. — მე სხვანაირად არც შემიძლია.

გ. ფ. — მაშინ პირდაპირ გეტყვი: შენზე ამბობენ, რომ თავხედი და აუტანელი ხარ.

მ. მ. — მერე თქვენ გჯერათ?

გ. ფ. — არ მჯერა, იმიტომ, რომ კარგად გიცნობ, მაგრამ, ერეკლე მეფისა არ იყოს, ძეგველ ბებერს რომ სჯერა?

მ. მ. — მერე რა, ჩემთვის ბევრს ნიშნავს, თქვენ რომ არ გჯერათ!

გ. ფ. — იმასაც ამბობენ, რომ უსიამოვნო წრეში, ტრიალებ, მეგობრები ხელს გიშლიან ვარჯიშშიც და, საერთოდ, ცხოვრებაშიც.

მ. მ. — თქვენ მაინც იცით, ძია გურამ, როგორი მეგობრები მყავს, სულ ჩემთან არიან —ჭირშიც და ლხინშიც. ისინი მინერგავდნენ რწმენას, მამხნევებდნენ და მეხმარებოდნენ. რით შემიძლია გადავუხადო მადლობა? მხოლოდ კარგი თამაშით. ამიტომ თავს არ დავზოგავ, რომ შევძლო მაყურებელი გავახარო. ვიდრე ამას შევძლებდე, ვიდრე სურვილს საქმედ ვაქცევდე, ბევრი სიძნელის გადალახვა მომიწევს. ყველაზე კარგად, ალბათ, მე ვიცი, რომ ნამდვილად მხოლოდ ახლა ვიწყებ ფეხბურთს...

გ. ფ. — გიყვარს ფეხბურთი?

მ. მ. — უბურთოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია.

გ. ფ. — შენი ცხოვრების წესი რომ ვერ გვარწმუნებს ფეხბურთისადმი ამგვარ ფანატიკურ სიყვარულში?

მ. მ. — შეიძლება... მე ხომ ფეხბურთის თამაში გვიან დავიწყე, მერე კარგა ხანს ვიავადმყოფე.

გ. ფ. — ახლა როგორ გრძნობ თავს?

მ. მ. — ძალიან კარგად. მიკვირს, ვინ მომიგონა, ორი ტაიმის თამაში არ შეუძლიაო. მე ყოველთვის შემეძლო ორი ტაიმის თამაში მთელი დატვირთვით, მაშინაც კი, როცა კარგად არ ვიყავი.

გ. ფ. — გულშემატკივრებს იმაზე მეტად უყვარხარ, ვიდრე შენ დაიმსახურე — მეთანხმები?

მ. მ. — სწორია, მე ჯერ არაფერი დამიმსახურებია.

გ. ფ. — ხომ არ მიგაჩნია, რომ მიხეილ მესხი-უმცროსის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი მიხეილ მესხი-უფროსის პოპულარობამ? შენ რომ მოედანზე გამოხვედი, უკვე გქონდა სახელი და გვარი.

მ. მ. — რასაკვირველია, მაგრამ მამის პოპულარობა რას გიშველის, თუ შენც ხელი (უფრო სწორად, ფეხი), არ გაანძრიე.

გ. ფ. — ყველაზე უფრო რაზე გწყდება გული?

მ. მ. — მამაჩემის თამაში რომ არ მინახავს.

გ. ფ. — ერთი ოცნების შესრულებას რომ დაგპირდნენ, რას ინატრებდი?

მ. მ. — ტრიბუნაზე დამსვა და მამაჩემის საუკეთესო თამაშები მანახა. შეიძლება ერთი შეკითხვა მეც მოგცეთ?

გ. ფ. — ბრძანე.

მ. მ. — თამაშის მანერით ვგავარ მამაჩემს?

გ. ფ. — ძალიან, განსაკუთრებით ფლანგური გარღვევის დროს. მაგრამ განსხვავდები კიდეც. მამაშენი უფრო დუელანტი იყო, პოზიციური ბრძოლა არ უყვარდა. შენ მეტი საშუალება გაქვს პოზიციური ბრძოლისა, პასიც უფრო გეხერხება, ვფიქრობ, სასტარტო სისწრაფეც მეტი გაქვს. მე მხოლოდ მონაცემებზე ვლაპარაკობ, მონაცემები კი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ფეხბურთელობას, მით უმეტს, დიდ ფეხბურთელობას. შენს ასაკში მამაშენი უკვე მსოფლიო კლასის ვარსკვლავი იყო.

მ. მ. — გეთანხმებით, მონაცემები არ ნიშნავს ფეხბურთელობას.

გ. ფ. — შენი მთავარი კოზირია გასვლა მარცხენა ფრთიდან.

მ. მ. — დიახ.

გ. ფ. — მაგრამ დიდი ნაკლი გაქვს ის, რომ მარჯვენა ფეხს ვერ ხმარობ, როგორც საჭიროა. ამიტომ, როცა მარცხნიდან შედიხარ, კარში დარტყმის კუთხე მცირდება და, ფაქტიურად, მარცხენა ფეხით ველარ ურტყამ. მით უმეტეს, რომ, ჩემი აზრით, მოჭრილ დარტყმასაც ვერ ფლობ ჯერ კარგად.

მ. მ. — მართალი ბრძანდებით, მოჭრილ დარტყმას ჯერჯერობით ვერ ვფლობ. ბუნებრივია, გასვლის შემდეგ დარტყმის კუთხე მცირდება, მაგრამ გარემარბის მთავარი მოვალეობა მაინც საგოლე მომენტის შექმნაა.

გ. ფ. — მართალი ბრძანდები, მაგრამ როცა მარცხენა ფეხით დარტყმა კარგად შეგიძლია, ცენტრიდანაც უნდა შეხვიდე. მით უმეტეს, შენ ეს არ გაგიჭირდება. ცენტრიდანაც შესულხარ და ბურთებიც გაგიტანია. არ შეიძლება საკუთარი ტაქტიკა მარტოოდენ მარცხნიდან გასვლაზე ააგო.

მ. მ. — გულახდილად უნდა გითხრათ, მე ჯერ კიდევ არა მაქვს ნაპოვნი ჩემი თამაშის ნახაზი, ამ ნახაზის მიგნება კი აუცილებელია. მე უნდა მქონდეს შეტევის რამდენიმე ვარიანტი, არადა მარჯვენა ფეხს რიგიანად ვერ ვხმარობ დარტყმის ან პასის მიწოდების დროსაც. ამ მხრივ დიდი მუშაობა მმართებს. მიხარია, რომ კიევის „დინამოსთან" ჩქარეულს მარჯვენა ფეხით მივეცი პასი, რომელსაც გოლი მოჰყვა.

გ. ფ. — შენ უნარი გაქვს სწრაფი გარღვევის დროს უეცრად ადგილზე შემობრუნდე თითქმის ოთხმოცდაათი გრადუსით. თუ მარჯვენა ფეხით დარტყმას დაეუფლები, საშუალება გექნება მოულოდნელად დაარტყა კარში.

მ. მ. — მართალი ბრძანდებით, და, საერთოდ, როცა ეპიზოდებში მარჯვენა ფრთიდან ვუტევ ხოლმე, დარტყმა, ბუნებრივია, უფრო მეიოლება, რადგან მაშინ ცენტრიდან შევდივარ საჯარიმო მოედანზე.

გ. ფ. — მამაშენს ერთი ნაკლი ჰქონდა: ბურთის მიღების ერთფეროვანი მანერით პარტნიორებს ძალზე უძნელებდა მისთვის პასის მიცემას. როცა შენ ღებულობ ბურთს, მემკვიდრეს აქ აშკარად ვცნობ.

მ. მ. — ბურთის მიღებამდე, ცოტა არ იყოს, უმწეოდ ვგრძნობ თავს. თუ ბურთი ფეხებში მოვიგდე, მერე უკვე ჩემს სტიქიაში ვარ. ფინტებით გასვლის დროს ჩემთვის არ არსებობს მარჯვენა ფეხის პრობლემა. ბურთის მიღება კი ყველაზე უფრო მაშინ მიჭირს, როცა მაღალ პასს მაწვდიან. არ ვიცი რა მემართება, ორიენტაცია მეკარგება თუ, უბრალოდ, არ შემიძლია მაღალი ბურთის მიღება. ეს ნაკლი უნდა გამოვასწორო, თორემ გრძელი პასი ყოველთვის მოწინაალმდეგე მცველის ლუკმა გახდება.

გ. ფ. — როგორც ვთქვი, შენი კოზირი მარცხნიდან გასვლაა. ამასთანავე, ფინტთან ერთად გახასიათებს გარინჩასებურად გვერდზე გახტომა ძალზე დიდი სისწრაფით. მარცხენა ფრთიდან შენი გასხლტომის ეს ერთი შეხედვით მარტივი მექანიზმი ხომ არ უადვილებს მოწინაალმდეგეს შენი იერიშების მოგერიებას?

მ. მ. — გარინჩას მანევრი ყველასათვის ცნობილი იყო. საათობით უსხდნენ მცველები ვიდეოჩანაწერებს, თეორიულად ამუშავებდნენ მისი დაჭერის ხერხებს, თითქოს მზად იყვნენ ბრაზილიელი ვირტუოზის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ როცა მინდორზე პირისპირ შეებმებოდნენ ერთმანეთს, გარინჩას მაინც ვერ იჭერდნენ. მას მოწინააღმდეგე იოლად გამოჰყავდა წონასწორობიდან და ლაღად გადიოდა მარჯვენა ფრთიდან.

მინდა პარალელი სწორად გამიგოთ. აქ მე მხოლოდ პრინციპზე ვლაპარაკობ.

გ. ფ. — ზემოთ უკვე ვთქვი, რომ შესანიშნავი სტარტი გაქვს, რამდენ წამში ფარავ 5, 10 და 20 მეტრს?

მ. მ. — არ გამიზომავს. 30 მეტრს კი 3,8 წამში ვფარავ.

გ. ფ. — შენთვის მთავარია 5 და 10-მეტრიანი გარღვევები. რამდენადაც მე ვიცი, ვარჯიშზე გაცილებით ცოტას იკლებ წონაში (1,5-დან 2 კგ-მდე), ვიდრე თამაშზე (2 კგ-დან 2,5 კგ-მდე). მატჩის დროს კი გარემარბისთვის ფიზიკური დატვირთვა ნაკლებია.

მ. მ. — მართალია, მაგრამ მატჩის დროს დიდია ფსიქოლოგიური დატვირთვა. ვარჯიშის დროს ნერვიულობისა და სულიერი დაძაბულობის ფაქტორი მოხსნილია.

გ. ფ. — უკან დაწეულს შეგიძლია თამაში?

მ. მ. — უკან გაცილებით იოლია თამაში. მოტყუებისა და მანევრირებისთვის არე დიდია, ასევე მრავალი ვარიანტია პასისა და იერიშის გაგრძელებისა. წინ კი ყველაფერი შეზღუდულია, სამოქმედო არეც, ვარიანტებიც...

გ. ფ. — წინ მხოლოდ ეპიზოდურად ერთვები თამაშში, უკან კი 90 წუთის მანძილზე მოგიწევს სირბილი. გეყოფა გამძლეობა და ენერგია?

მ. მ.— მეყოფა. მართალია, წინ ეპიზოდურად მიწევს თამაშში ჩართვა, მაგრამ გარემარბის შეტევა აფეთქებას ჰგავს. როგორც თქვენ ბრძანეთ, საჭიროა დიდი სასტარტო სისწრაფე, რაც უდიდეს ენერგიას მოითხოვს. გარემარბი ენერგიას ნაწილ-ნაწილ, მაგრამ დიდი დოზებით ხარჯავს.

გ. ფ. — ფეხბურთელის დატვირთვა უკანასკნელ წლებში ძალზე გაიზარდა. კლავს თუ არა დიდი დატვირთვა ფეხბურთელში ინდივიდს?

მ. მ. — რასაკვირველია. გარდა ამისა, შეიმჩნევა ერთი ცუდი ტენდენციაც: ფეხბურთელში მონაცემებს, ბურთის გრძნობას, ინდივიდუალურ მანერას კი არ აფასებენ, არამედ ტექნიკურ მაჩვენებლებს სირბილსა და ხტომაში.

გ. ფ. — ვერ ვიხსენებ, რომელიღაც ცნობილმა მწვრთნელმა თქვა, საკუთარი და მოწინააღმდეგის მინდვრის ფაქტორი მოგონილი ცნებააო. მე მას ვერ დავეთანხმები, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შინ უფრო დიდი გული გაქვს, ფეხბურთი კი ხასიათთა ფსიქოლოგიური ბრძოლაცაა. შენ რას იტყვი?

მ. მ. — რასაკვირველია, შინ თამაში უფრო იოლია. თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარ მინდორზეც კი ძალიან ღელავს ფეხბურთელი, მით უმეტეს, ახალგაზრდა. ერევნის „არარატთან" ერთი ტაიმი უნდა მეთამაშა. მკითხეს, რომელი ტაიმი გირჩევნიაო, მეორე ვარჩიე. იმდენად ავღელდი, რომ ხელ-ფეხი დამიბუჟდა და სახე ჩამილურჯდა.

გ. ფ. — რომელი ქვეყნის ფეხბურთი მოგწონს ყველაზე მეტად?

მ. მ. — ბრაზილიური. იქ აშკარად ჩანს ფეხბურთელთა ინდივიდუალური თვისებები, ლამაზია მათი მოძრაობაც. თქვენ ერთგან წერდით, ბრაზილიელი ფეხბურთელები დასიცხული ლომებივით დაიზლაზნებოდნენ მოედანზე, მერე კი ერთბაშად აფეთქდნენო. მართლაც, რა სილამაზეა მათ თამაშში! ყველაზე მეტად სწორედ ბრაზილიელები გაგრძნობინებენ, რომ ფეხბურთი ცოტა უფრო მეტია, ვიდრე სპორტი.

გ. ფ. — დღესდღეობით ვინ მიგაჩნიათ ყველაზე დიდ ფეხბურთელად?

მ. მ. — სამწუხაროდ, დღეს მე ვერ ვხედავ ისეთ გამოკვეთილ თავდამსხმელებს, როგორიც პელე და ჟაირზინიო იყვნენ. დღეს, ალბათ, პლატინი და ზიკო არიან საუკეთესოები, თუმცა მარადონა ყველაზე ნიჭიერად მიმაჩნია, მასში მეტად ჩანს ინდივიდი. არ ვიცი, სწორად გამოვხატავ თუ არა ჩემს სათქმელს.

გ. ფ. — მესმის, რისი თქმაც გინდა.

მ. მ. — არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე გამოკვეთილი ინდივიდი ბერტონი იყო. ისე კი, დავით ყიფიანის მსგავსი ფეხბურთელი მე არ მინახავს. მინდვრის ხედვაზე და პასის კულტურაზე არაფერს ვიტყვი, ამას ყველა აღიარებს. ყოველთვის მაოცებდა და მანცვიფრებდა მისი ტექნიკური შესაძლებლობების მრავალფეროვნება. მახსოვს, ერთხელ სამი მეტრიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი მუცლით ისე შეაჩერა და წინ ისე დაიგდო, თითქოს თავის თავს მოკლე პასი მიაწოდა.

გ. ფ. — ფეხბურთელი რომ საბრძოლველად განეწყოს, მთავარია რწმენა ჰქონდეს, ხშირად მატჩი დაწყებამდეა ხოლმე წაგებული.

მ. მ. — რწმენას კი, იცით, რა მატებს ფეხბურთელს? როცა აგრძნობინებენ, რომ მისი სჯერათ.

გ. ფ. — გინდა, რომ შენი შვილი მიხეილ მესხი-მესამეც ფეხბურთელი გამოვიდეს?

მ. მ. — ჩემი ბიჭი თერთმეტ მაისს დაიბადა, თერთმეტი კი ჩვენი რიცხვია. ასე რომ, იგი აუცილებლად გაჰყვება ბაბუისა და მამის გზას.

გ. ფ. — საუბარი გაგვიგრძელდა. ერთი რამ კიდევ მინდა გითხრა: ყველა მონაცემი გაქვს საიმისოდ, რომ ფეხბურთი დღესასწაულად აქციო, მაგრამ ისიც მინდა შეგახსენო — შენს ასაკში ყველა დიდ ფეხბურთელს უკვე ნათქვამი ჰქონდა თავისი სიტყვა. მიზეზთა გამო წლები დაიკარგა. მხოლოდ დიდი ნებისყოფით, შინაგანი დისციპლინით და შრომით შეგიძლია დაკარგული აინაზღაურო.

მ. მ. — დიახ, დიდი გარჯა მმართებს, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ფეხბურთელს, ალბათ, იღბალიც უნდა ჰქონდეს...



## შეხვედრა ქუთაისის ტორპედოელებთან

**გალის** რაიონში ამას წინათ სტუმრად ჩავიდნენ ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელები, რომლებმაც წლეულს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ფეხბურთელებმა დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნავი ხდომილები. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მახუნჯიის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის დირექციამ საგანგებოდ მათთვის გამოყო ნაკვეთი ციტრუსების პლანტაციაში.

გალის სტადიონზე გაიმართა ქუთაისის „ტორპედოსა" და გალის „მზიურის" შეხვედრა. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

**ვ. ჯლარკავა,**
**გალის რაიონულ გაზეთ „ლენინელის" თანამშრომელი.**

## ინფორმაცია

**პესკარა.** მსოფლიო ჩემპიონმა, იტალიის ნაკრებმა პოლონეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. ეს ამხანაგური მატჩი დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით —2:0. გოლები გაიტანეს ალტობელიმ და დაგანარომ.

**ათენში** საბერძნეთის ნაკრებმა სძლია რუმინეთის გუნდს — 2:1.

**ნიუ-იორკში** ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-ისა და ეკვადორის ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

# მსოფლიო ჩემპიონების სამჭედლო





ბალავერდი



საქართველოს განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის აკრობატიკის სპეციალიზებულ რესპუბლიკურ სკოლაში (დირექტორი მიხეილ გეგელია) მწვრთნელთა უმრავლესობა ბავშვებთან მუშაობს. არცთუ დიდი ხნის წინათ მშობლები ამრეზით უყურებდნენ სპორტის ამ ლამაზ სახეობას. მერე და მერე, როდესაც სკოლამ სახელი მოიხვეჭა და ხუთი მსოფლიო ჩემპიონი გამოზარდა, აქ სწავლის მსურველთა რიცხვი მომრავლდა.

სურათები, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ლევან ჯაბაძემ გადაიღო, სკოლის ერთ ჩვეულებრივ, სამუშაო დღეს გვაცნობს. მსოფლიო ჩემპიონმა მანანა მნათობიშვილმა წელს დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი და გულმა მშობლიური სკოლისკენ გამოუწია. ახალგაზრდა მწვრთნელი ეძებს მომავალ „ვარსკვლავებს"; კუდრაჭებმა „საჭოროდ" მოიცალეს.

## მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

# პარტია გადაიდო

**ბუშინ** მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ანატოლი კარპოვის და გარი კასპაროვის მატჩის 32-ე პარტია. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი.

პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა კასპაროვმა.

ანგარიში კვლავ მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდაა — 5:0 (+5—0=26).

## ჭადრაკი

# გამარჯვება გაიყვეს

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოჭადრაკეთა IX ჩემპიონატი.

დასკვნით, XIII ტურში ბალათუროვმა მოუგო ჩიქოვანს, კორსუნსკიმ — ჰუსეინოვს, ანასტასიანმა — აზმაიფარაშვილს. დაზავდნენ სტურუა — შაბოიანი, სიხარულიძე — აკოფიანი, გულიევი — პავლენკო და ამბარცუმიანი — გიორგაძე. გადადებული პარტიების დამთავრებისას აზმაიფარაშვილმა მოუგო ჩიქოვანს, ხოლო გულიევი ყაიმზე შეუთანხმდა აკოფიანსა და სიხარულიძეს.

ამრიგად, I-II ადგილები გაიყვეს ზურაბ სტურუამ და აშოთ ანასტასიანმა (სომხეთი) — 9-9, III ადგილზეა აიდინ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) — 8,5. შემდეგ მოდიან: ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია სიხარულიძე, გია ბალათუროვი —8-8, ოლეგ პავლენკო (აზერბაიჯანი) —7, იური ჩიქოვანი — 6,5, გია გიორგაძე. ფარჰად გულიევი (აზერბაიჯანი), ალბერტ ამბარცუმიანი (სომხეთი) — 5,5-5,5, რომან აკოფიანი — 5, როსტისლავ კორსუნსკი (ორივე — აზერბაიჯანი) — 4, ვლადიმერ შაბოიანი (სომხეთი)—2.

სამმა ოსტატობის კანდიდატმა: ანასტასიანმა, სიხარულიძემ და ბალათუროვმა სპორტის ოსტატის ნორმატივი (8 ქულა) შეასრულეს.

## კალათბურთი

**ევროპის** ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ ჯგუფში კაუნასის „ჟალგირისის" კალათბურთელებთან ერთად თამაშობენ სარაგოსას (ესპანეთი) კაი, სალონიკის (საბერძნეთი) პაოკ-ი და ვენის (ავსტრია) „ლანდესგირო".

11 დეკემბერს ჩატარდა ჯგუფური ტურნირის პირველი მატჩები. ვენაში ადგილობრივმა „ლანდესგირომა" კაუნასის „ჟალგირისს" უმასპინძლა. ეს შეხვედრა „ვინერ შტადჰალეს" მაყურებლებით გაჭედილ დარბაზში გაიმართა.

ავსტრიელი კალათბურთელები არაფრით არ გამოირჩევიან ევროპულ სარბიელზე. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ კაუნასელები იოლად გაიმარჯვებდნენ. მაგრამ სხვის მოედანზე თამაშმა, როგორც ჩანს, ლიტველ კალათბურთელებს საშუალება არ მისცა ბოლომდე გამოემჟღავნებინათ თავიანთი შესაძლებლობები. ასეა თუ ისე, პირველ ტაიმში „ჟალგირისის" უპირატესობა მხოლოდ 9 ქულით განისაზღვრა — 57:48. უმნიშვნელო უპირატესობას სტუმრები შესვენების შემდეგაც ფლობდნენ, რაც საკმარისი აღმოჩნდა შეხვედრის მოსაგებად — 116:99.

მეორე მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კაი (სარაგოსა) და პაოკ-ი (სალონიკი).

## ჰოკეი

**პარდუბიცე.** აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების მესამე ამხანაგური მატჩი. პირველი შეხვედრა, როგორც ცნობილია, ფრედ დამთავრდა, მეორე კი მასპინძლებმა მოიგეს. მესამეში საბჭოთა ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო. მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით 6:2 (1:1, 3:0, 2:1).

## რეგბი

**გლაზგო.** ავსტრალიის ნაკრებმა თავისი ბრიტანული ტურნეს ბოლო მატჩი გამართა — შოტლანდიის ეროვნულ გუნდს შეხვდა. სტუმრებმა ამჯერადაც წარმატებით იასპარეზეს და გაიმარჯვეს — 37:12. მანამდე ავსტრალიელებმა დაამარცხეს ინგლისის, ირლანდიისა და უელსის რეგბისტები.

## ძალოსნობა

**ზაპოროჟიე.** გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება და ჩემპიონატი (ცალკეულ მოძრაობებში) ძალოსნობაში. 52 კგ. წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო 26 წლის სიმფეროპოლელი ბრონისლავ რიჟიკი — 242,5 კგ. რიჟიკმა ატაცში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სცადა, მაგრამ 116 კილოგრამიანი შტანგა ვერ დაძლია.

## ინფორმაცია

**კანადის** ქალაქ ტორონტოში სუპერმძიმეწონოსან ძალოსანთა ტურნირში სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს. ესენი არიან მინსკელი ალექსანდრე კურლოვიჩი, მსოფლიო ჩემპიონი კიეველი ანატოლი პისარენკო და მსოფლიო რეკორდსმენი ტაგანროგელი ალექსანდრე გუნიაშევი. კურლოვიჩმა აჰკრა 235 კგ. აიტაცა 190 კგ, ორჭიდის ჯამში კი 425 კგ მოაგროვა. ატაცში საუკეთესო შედეგი აჩვენა გუნიაშევმა— 192,5 კგ. პისარენკომ და გუნიაშევმა ორჭიდში 420-420 კგ მოაგროვეს, მაგრამ მეორე ადგილი პისარენკოს მიეკუთვნა, რადგან იგი მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდა. რვა სპორტსმენს შორის ბოლო ადგილი დაიკავა ამერიკის კონტინენტის ერთადერთმა წარმომადგენელმა, ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა მარიო მარტინესმა, რომელმაც ორჭიდში მხოლოდ 372,5 კგ მოაგროვა.

## სამ სახეობაში

**ნიცა.** აქ გამართულ საინტერესო საერთაშორისო ტურნირში რვა ქვეყნის 120 მოჭიდავე მონაწილეობდა. ჭიდაობის ყოველ სახეობაში (თავისუფალი, კლასიკური, სამბო) თითოეულმა გუნდმა სამ-სამი წარმომადგენელი გამოიყვანა.

## კლასიკური ჭიდაობა

კლასიკოსთა შორის უძლიერესები იყვნენ: ლენინაკანელი მიხეილ მანუკიანი (62 კგ) და ერევნელი გევორქ ალექსანიანი (68 კგ). მოსკოველმა ალექსანდრე კუდრიავცევმა მეორე ადგილი დაიკავა (82 კგ).

## თავისუფალი ჭიდაობა

ჩვენს ათლეტებს თავისუფალ ჭიდაობაშიც ორი პირველი ადგილი ერგოთ: მოსკოვის ოლქის წარმომადგენელს ტარამ მაგომადოვს (74 კგ) და მოსკოველ სანასარ ოგანესიანს (90 კგ). მახაჩყალელი რუსლან კარაევი (68 კგ) მესამე იყო.

## სამბო

სამბისტთა ტურნირში სამივე საბჭოთა ათლეტმა — ბორის ადუშევმა (68 კგ), ნიკოლოზ ზუევმა (74 კგ) და არკადი ბუზინმა (90 კგ) — პირველი ადგილი დაიკავა.

## სათხილამურო სპორტი

**მეჟდურეჩენსკი.** ჩატარდა ორჭიდელთა საკავშირო შეჯიბრება — პირველი დიდი საკონტროლო შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ტრამპლინიდან ხტომაში საუკეთესო შედეგი აჩვენა სვერდლოვსკელმა ლეონიდ გლაზირინმა (86, 85 და 85,6 მეტრი). მეორე დღეს გაიმართა თხილამურებით რბოლა 15 კილომეტრზე, სწორედ ამ შეჯიბრებამ დაასახელა ორჭიდში გამარჯვებული. კიეველმა ალექსანდრე პროსვირინმა დისტანციის დაფარვას 48.19 მოანდომა და 419,75 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ორჭიდში.

## ჩოგბურთი

**მელბურნი.** მსოფლიოში ყველაზე საპრესტიჟო შეჯიბრებებად ითვლება ეგრეთ წოდებული „დიდი მუზარადის" ტურნირები: საფრანგეთის, აშშ-ის, ავსტრალიის ღია პირველობები და უიმბლდონის ტურნირი. წლევანდელი სეზონის ბოლო ასეთ ასპარეზობაში, ავსტრალიის ღია ჩემპიონატში წარმატებით ითამაშა ცნობილმა ამერიკელმა სპორტსმენმა ქრის ლოიდმა. ფინალურ შეხვედრაში მან ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა დაამარცხა — 6:7, 6:1, 6:3. აღსანიშნავია, რომ ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ლოიდმა ეს უკვე მეთექვსმეტედ მოიგო „დიდი მუზარადის" ტურნირი. 1974 წლიდან მოყოლებული იგი წელიწადში თითო ასეთ შეჯიბრებაში მაინც იმარჯვებს.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 8 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, 49-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** გაიყიდა 537 485 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (12 ბარათი) მოგება 3753 მანეთია, ოთხისთვის (798 ბარათი) — 60, სამისთვის (17081 ბარათი) — 4.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 4 195 644 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (33 ბარათი) მოგება 7665 მანეთია, ოთხისთვის (3218 ბარათი) — 132, სამისთვის (97141 ბარათი) — 6.

მოგებული თანხის განაღდება—19 დეკემბრიდან 1985 წლის 19 იანვრის ჩათვლით.

## რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე

**15-19 დეკემბერი. ქუთაისი. საკავშირო თასის გათამაშება ფარიკაობაში.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**



**საქართველოს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო 14-17 დეკემბერს ქუთაისში აწყობს ამიერკავკასიის II სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებას კრივში.** მონაწილეობენ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და მოლდავეთის სოფლის სპორტსმენთა ნაკრები გუნდები.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-54,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15123